

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/49 14 ივლისი 2017 წ.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 - (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ეს წესი არეგულირებს აკადემიური თანამდებობის მქონე პირთა აფილირების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ცნება

აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უსდ-სთან, ამ უსდ-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება აღნიშნულ უსდ-ს;
- აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

მუხლი 3. აფილირების წესი და პირობები

1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსსანტი წინასწარ აცხადებს თანხმობას გთუნი-სთან აფილირების შესახებ და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ხელშეკრულების დადებითა და შესაბამისი თანხმობის ფორმის შევსებით კვლავ ადასტურებს მას.
2. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდ-სთან მასთან შეიცვლება ან შეწყდება შრომითი ხელშეკრულება.
3. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმას ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 4. ცვლილებების შეტანის წესი

აკადემიური პერსონალის აფილირების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

შეტანილი ცვლილება:

1. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 - (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება)

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე პირის

თანხმობა

მე -----პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს გთუნი-ს. იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან, თანახმა ვარ შემეცვალოს ან შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება.

----- /ხელმოწერა/

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირის

თანხმობა

მე ----- პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს გთუნი-ს. იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან, თანახმა ვარ შემეცვალოს ან შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება.

----- /ხელმოწერა/